

22/06/2026



MES 3 26 0000777289

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი**

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

**1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:**

**ეკატერინე წიფურია** - სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის №51 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;

**თამარ მამსიკაშვილი** - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის,, თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმების სექტორის განვითარებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

**ნინო ბერიკაშვილი** - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, „არაქართულენოვანი სკოლების მხარდაჭერის“ ქვეპროგრამის მენეჯერი, საბჭოს მდივანი;

**პეტრე ბაბილუა** - შპს - „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;

**დავით მალაზონია**- შპს - „თანამედროვე განათლების აკადემია - სკოლა და ბაღის“ დირექტორი, საბჭოს წევრი;

**მანანა თურქაძე** - შპს „ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში“ დირექტორთა საბჭოს წევრი და მთავარი მრჩეველი განათლების საკითხებში, საბჭოს წევრი;

**ნონა ჩუბინიძე** - სსიპ - ქალაქ ქუთაისის №14 საჯარო სკოლის დირექტორი;

**დავით კახიაშვილი** - შპს - „თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმ მწიგნობართუხუცესის“ დირექტორი, ა(ა)იპ - „არასამთავრობო (კერძო) სასწავლებლების ასოციაციის“ თავმჯდომარე, საბჭოს წევრი;

**ეკატერინე გურგენაშვილი** - სსიპ - მერაბ კოსტავას სახელობის ქალაქ თელავის №4 საჯარო სკოლის მასწავლებელი, 2024 წლის მასწავლებლის ეროვნული პრემიის გამარჯვებული, საბჭოს წევრი;

**ირმა ამირანაშვილი** - შპს - „ქორალის“ ხარისხის მართვის მენეჯერი, საბჭოს წევრი;

**კახაბერ ჩაკვეტაძე** - სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;

**თეა სვიმონიშვილი** - სსიპ - ქალაქ თბილისის №12 საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;

**ქეთევან ნატროშვილი** - შპს - „ქართული სასწავლებელი - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი.

## **2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:**

**თანარ ფიფია** - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

**დიმიტრი ცანავა** - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

## **3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:**

**შპს - მზეკაბანი 2 რუსთავის საერო სკოლა:**

სკოლის დირექტორი - ბელა გოცირიძე

**სსიპ - ქალაქ თბილისის N144 საჯარო სკოლა:**

სკოლის დირექტორი - მანანა ჩარგეიშვილი

**სსიპ - ქალაქ თბილისის N192 საჯარო სკოლა:**

სკოლის დირექტორი - ნინო მოდელაშვილი

**სსიპ - ქალაქ ბათუმის N23 საჯარო სკოლა:**

სკოლის დირექტორი - დალი დიასამიძე

**სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ კვირიკეს N1 საჯარო სკოლა:**

სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი - ნინო ხალვაში

**სსიპ - აკაკი ჩხენკელის სახელობის ქალაქ ხონის N2 საჯარო სკოლა:**

სკოლის დირექტორი - ნუნუ მანაგაძე-ანდრიაძე

**სსიპ - ნიკო ლორთქიფანიძის სახელობის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ წყალტუბოს საჯარო სკოლა:**

სკოლის დირექტორი - მიხეილ კაკაბაძე

**სსიპ - ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ გურნის საჯარო სკოლა:**

სკოლის დირექტორი - გიორგი ნანიკაშვილი

**სსიპ - დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ მაშავერას საჯარო სკოლა:**

სკოლის დირექტორი - დალი ასლანიშვილი

**სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ბრეთის საჯარო სკოლა:**

სკოლის დირექტორი - ეთერი ბერიკაშვილი

**4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):**

**შპს - მზეკაბანი 2 რუსთავის საერო სკოლა:**

ა) ზვიადი ბერიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);

ბ) ნინო ვასაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

**სსიპ - ქალაქ თბილისის N144 საჯარო სკოლა:**

ა) ქეთევან ბოტკოველი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);

ბ) ვიქტორია უშანგიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

**სსიპ - ქალაქ თბილისის N192 საჯარო სკოლა:**

ა) ლელა ბუბაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);

ბ) თათული მგელაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);

გ) ქეთევან სადრაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

დ) თეონა მაცაბერიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ე) თინათინ ბეგიაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ვ) ეთერი ივანელაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ზ) მეგი კაპანაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

თ) თეონა შერაზადიშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ი) ლალი აბულაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

კ) დომინიკა აბაშიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ლ) ნინო ჯოჯიშვილი (ზოგადი განათლების დაწესებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

**სსიპ - ქალაქ ბათუმის N23 საჯარო სკოლა:**

ა) თინათინ გიორგაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);

ბ) თამარი ბლიაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);

გ) ქეთევან ტურიაშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

დ) ხათუნა ჯიმშიაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ე) მაია ქუთათელაძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ვ) ნაია ენდელაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ზ) ავთანდილ ცნობილაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

თ) ლელა გაბისონია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ი) ნათია ორმოცაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

კ) საბა დარსაველიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ლ) ეკატერინე მაკარიძე (ზოგადი განათლების დაწესებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

**სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ კვირიკეს N1 საჯარო სკოლა:**

- ა) ეთერ მეტრეველი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
- ბ) თეა თავაძე- ასათიანი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
- გ) ნინო ბერიშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- დ) მაია შამუგია (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ე) ანანო შანავა (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ვ) ნინო ზირაქაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ზ) ჟანა ბელქანია (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- თ) თეონა შერაზადიშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ი) თეონა აბრამიშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- კ) დომინიკა აბაშიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ლ) ნინო ჭანტურიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

**სსიპ - აკაკი ჩხენკელის სახელობის ქალაქ ხონის N2 საჯარო სკოლა:**

- ა) ნათელა ბასილია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
- ბ) სოფიო გაგომიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
- გ) ლარისა ჯაფარიძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- დ) ნინო თედორაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ე) ელენე გაფრინდაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ვ) მარინე რეხვიაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ზ) თემური კურცხალია (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- თ) სოფიო თავაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ი) ნინო გორგილაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- კ) მარინა ანესაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ლ) ნინო ჭანტურიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

**სსიპ - ნიკო ლორთქიფანიძის სახელობის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ წყალტუბოს საჯარო სკოლა:**

- ა) ნათია ოზბეთელაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
- ბ) ლია ჯალალონია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
- გ) ინგა ალავერდაშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- დ) გოგი ლატარია (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ე) ნონა ბეროშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ვ) თამარ თავაშაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ზ) ანგელინა ეფრემიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- თ) მაკა ინაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ი) ხათუნა გერგაია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- კ) ალექსანდრე ლაცაბიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ლ) ლანა კუჭავა (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

**სსიპ - ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ გურნის საჯარო სკოლა:**

- ა) ღია ჯალაღონია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
- ბ) ნანა გიორგობიანი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
- გ) ეთერი ბროლაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- დ) მამუკა ხაჩიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ე) მათა დოლაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ვ) დავით კიკაბიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ზ) დავით ხუციშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- თ) ნინო თედიანიშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ი) ღია სვიმონიშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- კ) ქეთევან ქობალია (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ლ) ნინო მახარაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

**სსიპ - დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ მაშავერას საჯარო სკოლა:**

- ა) გიორგი მომცელიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
- ბ) თამარ ჯაფარიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
- გ) ეთერი ბროლაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- დ) ირმა ქავიანიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ე) სოფიო მაგლობლიშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ვ) სალომე არაბიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ზ) დავით ხუციშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- თ) ხათუნა ქერაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ი) მზია დადვანი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- კ) ალექსანდრე ჩახნაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ლ) ხათუნა ბენდელიანი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

**სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ბრეთის საჯარო სკოლა:**

- ა) ქეთევან ბოტკოველი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
- ბ) ნინო წერეთელი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
- გ) თეა ნინუა (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- დ) ზაზა მანია (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ე) ნელი ტეტუნაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ვ) ლედი კუთხაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ზ) შორენა ბადურაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- თ) მზევინარ მჟავანაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ი) მზია დადვანი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- კ) ედუარდ ნაკაიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ლ) ნინო მახარაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს

თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია. საბჭოს სხდომა 2026 წლის 08 ივნისს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom-ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 14:30 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ დებულების მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

ცენტრის წარმომადგენელმა, საბჭოს წინაშე, დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე, დამსწრე პირებმა, გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

### **საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:**

1. შპს მზეკაბანი 2 რუსთავის საერო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. სსიპ - ქალაქ თბილისის N144 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. სსიპ - ქალაქ თბილისის N192 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ქალაქ ბათუმის N23 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ კვირიკეს N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - აკაკი ჩხენკელის სახელობის ქალაქ ხონის N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ - ნიკო ლორთქიფანიძის სახელობის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ წყალტუბოს საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
8. სსიპ - ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ გურნის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
9. სსიპ - დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ მაშავერას საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
10. სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ბრეთის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

დღის წესრიგთან დაკავშირებით რაიმე სახის შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

### **1. შპს - მზეკაბანი 2 რუსთავის საერო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურია, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს

თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ზვიად ბერიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, არაგეგმიური მონიტორინგი განხორციელდა ადგილზე ვიზიტით.

სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 04 აპრილის N377882 გადაწყვეტილების თანახმად, დაწესებულებას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 100 მოსწავლით, ხოლო აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა იყო 79.

ექსპერტმა, ზვიად ბერიძემ, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, დაევალა მეოთხე სტანდარტის შესაბამისობის შეფასება.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას N4.1.2.1. ინდიკატორთან დაუდგინდა ხარვეზი, კერძოდ სკოლის მიერ შემუშავებული მოსწავლის სტატუსის შეჩერების შიდა მექანიზმები არ იყო გამჭვირვალე და მკაფიო, სკოლის მიერ დადგენილი პრაქტიკა არ იყო შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან, არ იყო დადგენილი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის პროცესში ჩართვის ფორმები, არ იყო განსაზღვრული გადაწყვეტილების მიღების ეტაპები, პასუხისმგებელი პირები, მშობლის წინასწარი ინფორმირების, გადაწყვეტილებების სავალდებულო დოკუმენტირების და დაარქივების წესი. N4.1.2.2. ინდიკატორთან მიმართებით სკოლის მიერ არ იყო დაცული მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესი, კერძოდ: ა) სკოლას, ერთი მოსწავლისათვის გაცდენების გამო სტატუსი უნდა შეეჩერებინა 2026 წლის 11 დეკემბერს, რაც არ გაუკეთებია. აღნიშნული მოსწავლე ამორიცხა მოსწავლეთა სიიდან 2026 წლის 09 თებერვალს მობილობის წესით სხვა სკოლაში გადასვლის გამო. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად მოსწავლის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში შესაბამის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას ვაუჩერით გადარიცხული თანხის ოდენობა შეუნარჩუნდება 1 თებერვლამდე, თუ მოსწავლეს სტატუსი შეუჩერდა ერთსა და იმავე სასწავლო წლის 26 სექტემბრიდან 25 იანვრის ჩათვლით; 1 ივნისამდე, თუ მოსწავლეს სტატუსი შეუჩერდა ერთსა და იმავე სასწავლო წლის 26 იანვრიდან 10 მაისის ჩათვლით. აღნიშნული სამართლებრივი ნორმიდან გამომდინარე იმ შემთხვევაში თუ მოსწავლეს სტატუსი შეუჩერდებოდა, კანონმდებლობით დადგენილ ვადაში (2025-2026 სასწავლო წლის 11 დეკემბერს) სკოლას ვაუჩერი შეუნარჩუნდებოდა 2026 წლის 01 თებერვლამდე. ვინაიდან მოსწავლეს სტატუსი არ შეუჩერდა, კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და მისი მოსწავლეთა სიიდან ამორიცხვა მოხდა 2026 წლის 09 თებერვალს (2026 წლის 25 იანვრის შემდგომ), სკოლას ვაუჩერი შეუნარჩუნდა 2026 წლის 01 ივნისამდე, რაც კანონმდებლობის უხეშ დარღვევას წარმოადგენს; ბ) სკოლის დირექტორის 2025 წლის 11 აპრილის N2-32 ბრძანებით მე-10 კლასის მოსწავლეს შეჩერებული ჰქონდა მოსწავლის სტატუსი, გაცდენების გამო. დოკუმენტური მტკიცებულებით ვერდადგინდა, რომ სკოლამ კანონმდებლობით დადგენილი წესით, მოსწავლის სტატუსის შეჩერებამდე სცადა გაცდენის მიზეზების იდენტიფიცირება, პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა ან მშობლის და მოსწავლის ჩართულობით პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების განხილვა ან/და პროცესში ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის სოციალური მუშაკის ჩართვა. N4.2.3.1. ინდიკატორთან მიმართებით, სკოლას იდენტიფიცირებული ჰყავდა სხვადასხვა სირთულეების მქონე მოსწავლეები, რომლებსაც არ ჰქონდათ მინიჭებული სსსმ მოსწავლის სტატუსი. ამასთან, მოსწავლის მიერ გამოხატული სირთულის პირველადი მართვის მიზნით არ იკვეთებოდა ინდივიდუალური საჭიროების შეფასების, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ასეთის საჭიროების შემთხვევაში) შემუშავების, პასუხისმგებელი პირების განსაზღვრისა (ისგ ჯგუფი) და სასწავლო პროცესში

ადაპტაციის უზრუნველყოფის სისტემური პროცედურების განხორციელება. სკოლა ვალდებულია მსგავს შემთხვევებში განსაზღვროს და მიიღოს ყველა საჭირო ზომა მოსწავლის მიერ გამოხატული სირთულის პირველადი მართვის მიზნით, დანერგოს შესაბამისი პროცედურები, განახორციელოს მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების შეფასება და საგანმანათლებლო პროცესის ადაპტირება, რათა უზრუნველყოფილი იქნას მოსწავლისათვის თანაბარი და ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობა.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ექსპერტს, მოახდინა თუ არა კლასის დამრიგებელმა დროული რეაგირება და სკოლას ჰყავდა თუ არა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის მასწავლებელი და ჰქონდა თუ არა რესურს ოთახი.

ექსპერტმა, ზვიად ბერიძემ, აღნიშნა რომ დაწესებულების/დამრიგებლის მხრიდან ადგილი ჰქონდა პროცედურის დარღვევას ვადების ნაწილში. აქვე აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა რესურსოთახი და ჰყავდა ასისტენტი სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლისთვის.

საბჭოს წევრმა, ნონა ჩუბინიძემ კითხვით მიმართა ექსპერტს, თუ როგორ მოახდინა ექსპერტმა სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლის იდენტიფიცირება.

ექსპერტმა ზვიად ბერიძემ აღნიშნა, რომ აღნიშნული დადასტურდა წარმოდგენილი ჯანმრთელობის ცნობის საფუძველზე.

საბჭოს წევრმა, ნინო ბერიკაშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტს, თუ ჰქონდა მას კომუნიკაცია მშობელთან.

ექსპერტმა, ზვიად ბერიძემ აღნიშნა, რომ მას მშობელთან კომუნიკაცია არ ჰქონია, ვინაიდან მშობელს თავიდანვე ჰქონდა განაცხადი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ.

საბჭოს წევრმა, ნინო ბერიკაშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, კითხვა შეეხო სკოლის მხრიდან გადადგმულ ქმედით ნაბიჯებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ბელა გოცირიძემ აღნიშნა, რომ სკოლა აქტიურად მუშაობდა ხარვეზის გამოსწორებაზე. სკოლაში სწავლობდა სამი მოსწავლე, რომლებიც აქტიურად იყენებდნენ რესურსოთახს, მაგრამ არცერთ მათგანს არ ჰქონდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლის სტატუსი. სკოლას ჰყავდა ასისტენტი და ახალი სასწავლო წლისთვის იგეგმებოდა მასწავლებლის აყვანაც.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი, შპს მზეკაბანი 2 რუსთავის საერო სკოლაში მონიტორინგთან დაკავშირებით, ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

**დაწყების დრო:** 14:32

**დასრულების დრო:** 14:50

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე- 13

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

2010 წლის 1 ოქტომბრის N99/5 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს - მზეკაბანი 2 რუსთავის საერო სკოლის (ს/კ: 416306143) მონიტორინგთან დაკავშირებით.

## **საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:**

2026 წლის სექტემბრისთვის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის მასწავლებლის აყვანისა და საქმისწარმოების წესის კანონმდებლობის შესაბამისად დამტკიცების მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

### **2. სსიპ - ქალაქ თბილისის N144საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიაძე, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, გეგმიური მონიტორინგი განხორციელდა დისტანციურად, დოკუმენტაციის შესწავლის გზით.

სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 13 დეკემბერი N1707397 გადაწყვეტილების თანახმად, დაწესებულებას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 1100 მოსწავლით, ხოლო აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა იყო 703.

ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, დაევალა პირველი სტანდარტის შესაბამისობის შეფასება.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას წინა ვიზიტის დროს არ ჰქონდა რეკომენდაციები განსაზღვრული. მონიტორინგის ფარგლებში სტანდარტი შეფასდა, როგორც “მეტწილად” შესაბამისი. სკოლასთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფმა გასცა მხოლოდ რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი, სსიპ - ქალაქ თბილისის N144 საჯარო სკოლაში მონიტორინგთან დაკავშირებით, ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე- 13

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - ქალაქ თბილისის N144 საჯარო სკოლის (ს/კ: 204423472) მონიტორინგთან დაკავშირებით.

**საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:**

**2026 წლის 15 სექტემბრამდე,** სკოლის სტრატეგიულ გეგმაში პროგრამული მიმართულებების, მიზნებისა და ამოცანების ერთიანი ტერმინოლოგიური ჩარჩოს შესაბამისად ჩამოყალიბების, აქტივობების კონკრეტული, ოპერაციული და გაზომვადი ფორმით განსაზღვრის, ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავების (ჩამოყალიბდეს სტრატეგიულ მიზნებთან/პროგრამულ მიმართულებებთან მკაფიო კავშირში და ასახავდეს კონკრეტული წლის საჭიროებებსა და თვითშეფასების შედეგებზე დაფუძნებულ ცვლილებებს, ასევე სრულყოფილად აისახოს სტრატეგიული მიზნების შესაბამისი კონკრეტული ამოცანები, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები, საჭირო ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსები დაგაზომვადი შეფასების ინდიკატორები) მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

**3. სსიპ - ქალაქ თბილისის N192 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიაძე, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლელა ბუბაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის N192 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 30 და 31

მარტს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითმეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 3000. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 3000 მოსწავლისთვის.

ექსპერტმა, ლელა ბუბაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლასთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფმა გასცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ თამარ მამსიკაშვილმა, კითხვით მიმართა ექსპერტს, ლელა ბუბაშვილს და ითხოვა სკოლის სოციალური აქტივობების შესახებ ინფორმაციის დაზუსტება.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ სასწავლო პროცესი სკოლაში ეფექტიანად და ორგანიზებულად მიმდინარეობდა. მისი თქმით, სკოლაში ფუნქციონირებდა არაერთი კლუბი. საერთო ჯამში, დადებითად წარმოაჩენდა დაწესებულებას და მის ძლიერ მხარეებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე სსიპ - ქალაქ თბილისის N192 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 3000-ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

**დაწყების დრო - 15:15**

**დასრულების დრო - 15:35**

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2<sup>1</sup> და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ქალაქ თბილისის N192 საჯარო სკოლას (ს/კ: 211351838) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 3000-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი

				(მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი თბილისი, დიდი დილომი, მე-3 მიკრო რაიონი; ქალაქითბილისი, დიდი დილომი, მე-4 მიკრო რაიონი (არჩილ მეფის ქ. N27)
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქითბილისი, დიდი დილომი, მე-3 მიკრო რაიონი; ქალაქითბილისი, დიდი დილომი, მე-4 მიკრო რაიონი (არჩილ მეფის ქ. N27)
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი თბილისი, დიდი დილომი, მე-3 მიკრო რაიონი; ქალაქითბილისი, დიდი დილომი, მე-4 მიკრო რაიონი (არჩილ მეფის ქ. N27)

**საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:**

**2028 წლის მაისში** შიდა პანდუსებისა და ადაპტირებული სველი წერტილების მოწყობის (ორივე კორპუსი), **2027 წლის მაისში** საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების (ორივე კორპუსი) შესაბამისი რესურსითა და ინვენტარით აღჭურვის, (ტუტე-მჟავა და თერმო მდგრადი ზედაპირით დაფარული სადემონსტრაციო მაგიდებითა და გამწოვი კარადით) მტკიცებულებების წარდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

**4. სსიპ - ქალაქ ბათუმის N23 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, თინათინ გიორგაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ ბათუმის N23 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 01 და 02 აპრილს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო

საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მამიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 480. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 480 მოსწავლისთვის.

ექსპერტმა, თინათინ გიორგაძემ აღნიშნა, რომ სკოლასთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფმა გასცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრმა, კახაბერ ჩაკვეტაძემ, კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს. მისი კითხვა შეეხებოდა სკოლაში ექიმის არსებობისა და შესაბამისი სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფის საკითხს.

სკოლის წარმომადგენელმა დალი დიასამიძემ აღნიშნა, რომ აღნიშნული საკითხი ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე მოგვარდება და სკოლას ეყოლება ექიმი.

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ კითხვით მიმართა ექსპერტს, თუ რას გულისხმობდა დასკვნაში მითითებული ჰიგიენურ-სანიტარული მდგომარეობის მოწესრიგების საკითხი.

ექსპერტმა თინათინ გიორგაძემ აღნიშნა, რომ სკოლის ეზოს უკანა მხარეს მიედინებოდა ღია არხი, რომელიც განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდში ხელს უწყობდა მწერების გავრცელებას. აღნიშნულ გარემოებასთან დაკავშირებით სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისი ღონისძიებების გატარებისა და არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე სსიპ - ქალაქ ბათუმის N23 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 480-ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

**დაწყების დრო - 15:38**

**დასრულების დრო - 15:55**

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2<sup>1</sup> და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ქალაქ ბათუმის N23 საჯარო სკოლას (ს/კ: 248386679) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების

სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 480-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი ბათუმი, მახვილაურის ქუჩა N41
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი ბათუმი, მახვილაურის ქუჩა N41
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი ბათუმი, მახვილაურის ქუჩა N41

**საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:**

**არაუგვიანეს 2026 წლის სექტემბერისა** იყოს მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი პერსონალის აყვანის, სკოლის შენობის მომიჯნავედ არსებული ღია წყლის ნაკადზე სანიტარულჰიგიენური ნორმების დაცვის, სკოლის ეზოს სრულად შემოღობვის, **არა უგვიანეს 2027 წლის აპრილისა შეთანხმებული** საგანგებო სიტუაციების გეგმის, უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ მიმართვის, შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის, საჯარო რეესტრის ამონაწერის მოპოვების მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

**5. სსიპ - ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ კვირიკეს N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

